**ძირითადი ინფორმაცია:**

Evolution უძღვება B2B Live Casino სერვისებს, რომლებიც მრავალი არხისა და მოწყობილობის საშუალებით მიეწოდება კლიენტების უშუალო მომხმარებელს. კომპანიის ინოვაციური პროგრამული უზრუნველყოფის, კარგად დამკვიდრებული საწარმოს ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების საშუალებით, ევოლუშენი მატებს რეალურ ღირებულებას თავის მომხმარებლებს ბიზნესში.

კომპანია „ევოლუშენ ჯორჯია“ საქართველოში ფუნქციონირებს 2018 წლის იანვრიდან და მუშაობს 24/7 საათის განმავლობაში. დღესდღეობით, კომპანია სულ ითვლის 7000-მდე პერსონალს და განაგრძობს ზრდას.

სრული დასახელება: **შპს ევოლუშენ ჯორჯია**

საიდენტიფიკაციო ნომერი: **405209689**

საფოსტო მისამართი: **მექანიზაციის ქ. 1/2 / თ. ერისთავის ქ. 1, თბილისი, საქართველო.**

ვებ-გვერდი: www.evolution.com

ამჟამად, „ევოლუშენ ჯორჯია“ აცხადებს **ტენდერს ვენდინგ აპარატებისა და მათი მარაგების მოწოდებაზე** კომპანიის სხვადასხვა შენობაში განთავსებული თანამშრომლებისათვის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფინანსურად სტაბილურ და ბაზარზე წარმატებით ოპერირებად კომპანიებს, 3+ წლიანი გამოცდილებით კვების სფეროში და ვენდინგ აპარატების მიწოდებისა მომსახურების გაწევის მიმართულებით (ბანკები, კორპორატიული სექტორი და სხვა მსგავსი ინსტიტუტები).

**ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საჭირო წარსადგენი დოკუმენტაცია:**

- დანართი N 1 (შევსებული ფორმით).
- სარეკომენდაციო წერილები არსებული და ყოფილი კლიენტი კომპანიებისგან.
- სერთიფიკატები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მომსახურების მიწოდების ადგილ(ებ)ი:

- **თბილისი, მექანიზაციის ქ. N 1/2 (შენობა A და ეზოს ტერიტორია)**
- **თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N 1 (შენობა H)**
- **თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N 2 (შენობა E).**

## აპარატების საჭირო რაოდენობა:

| შენობა | ყავის აპარატი | სნექის/სასმელების აპარატი | ფარმ აპარატი |
|---|---|---|---|
| **H**<br>(მისამართი: თბილისი, თორნიკე ერისთავის 1) | **2** | **2** | **1** |
| **E**<br>(მისამართი: თბილისი, თორნიკე ერისთავის 2) | **2** | **2** | **1** |
| **A**<br>(მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ. 1/2) | **3** | **3** | **1** |
| **ეზოს ტერიტორია**<br>(მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ. 1/2) | **3** | **3** | |
| **სულ** | **10** | **10** | **3** |

***შენიშვნა:** პროცესის მსვლელობისას, აპარატების რაოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს.

## ყავის აპარატი

- ყავის აპარატები უნდა იყოს დაერთებული წყლის ცენტრალურ მილებზე. სავალდებულოა მათი შევსება და მუშაობა 24/7-ზე.
- ყავა „ევოლუშენი"-ს თანამშრომლებისათვის უფასოა.

| N | ყავის/სასმელების მინიმალური სასურველი სახეობა |
|---|---|
| 1 | ახლად მოხარშული ყავა |
| 2 | ესპრესო |
| 3 | ამერიკანო |
| 4 | ლატე |
| 5 | კაპუჩინო |
| 6 | ჩაი |

- შაქრის რაოდენობა უნდა იყოს რეგულირებადი.
- სასმელები უნდა იქნას მოწოდებული შაქრის სტიკებთან ერთად.
- დაფქული ყავის რაოდენობა ჭიქაზე:
  1 ჭიქა (12 OZ) **– 18-21 გრამი.**
  1 ჭიქა (7.5 OZ) – **7.5- 9 გრამი.**
- ჭიქის სასურველი ტიპი - **მუყაო;**
- ჭიქის მოცულობა - **12 OZ ან 7.5 OZ**

**ანგარიშსწორების პირობა:** საქონლის ღირებულების ანაზღაურება უნდა მოხდეს ან გახარჯული ჭიქების, ან გახარჯული მასალის (ყავის/სხვა სასმელის) შესაბამისად; მოხდება ორივე ვარიანტის განხილვა. მომწოდებელმა უნდა მოახდინოს ინვოისის გამოწერა ყავის ყოველთვიურ მოხმარებაზე და ასევე შემოგვთავაზოს ყავის მოხმარების მოქნილი და გამჭვირვალე მონიტორინგის სისტემა.

## სნექის/სასმელების აპარატი

- სნექების/სასმელების შესყიდვა „ევოლუშენი"-ს თანამშრომლების მიერ უნდა ხდებოდეს ბარათით/ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მეთოდით.
- აპარატებში განსათავსებელი სასურველი სნექების/სასმელების ჩამონათვალი:

| N | სნექების/სასმელების მინიმალური სახეობა |
|---|---|
| 1 | ცივი გამაგრილებელი სასმელები (მაგ: კოკა-კოლა, ცივი ჩაი, ენერჯაიზერი, წვენი) |
| 2 | წყალი (ჩვეულებრივი და გაზიანი) |
| 3 | სნექები (მაგ: ჩიფსი, ორცხობილა, კანფეტი, ტკბილეული) |
| 4 | საღეჭი რეზინი |
| 5 | ცივი საუზმე/მზა სენდვიჩები |

## ფარმ აპარატი

ფარმ აპარატებში განთავსებული უნდა იყოს უსაფრთხო ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები, სხვადასხვა მედიკამენტი და პირადი ჰიგიენის პროდუქტები ქალბატონებისათვის.

## მომსახურების მოწოდების პირობები ყველა ტიპის აპარატისათვის:

- მომსახურების მოწოდების პერიოდი ვენდინგ აპარატებისათვის შეადგენს 1 წელს.
- მომწოდებელი არ გადაიხდის არანაირ საიჯარო გადასახადს „ევოლუშენი"-ს შენობებში აპარატების განთავსებისათვის.
- მომწოდებელი არ გადაიხდის ელექტროენერგიის გადასახადს.
- მომწოდებელი პასუხისმგებელია აპარატების რეგულარულ მოვლაზე.
- მომწოდებელი ვალდებულია, სისტემატურად აკონტროლოს საქონლის მარაგები, მათი დროული შევსება და პროდუქციის ვადები.
- აპარატების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, 24/7-ზე მომსახურების მოწოდება.
- პროგრამული ხარვეზის შემთხვევაში, გადახდილი თანხის დროული დაბრუნება „ევოლუშენი"-ს თანამშრომლისათვის.

**ანგარიშსწორების პირობა:** მომწოდებელმა ყოველთვიურად უნდა მოახდინოს ინვოისის გამოწერა და შემოგვთავაზოს საქონლის მოხმარების მართვის მოქნილი და გამჭვირვალე მონიტორინგის სისტემა. ასევე, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, მოგვაწოდოს სტატისტიკური/ანალიტიკური მონაცემები.